

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**

ქ. ბათუმი

06 სექტემბერი 2019 წ

**ბრძანება № 01- 08/42**

**2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის  
მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2019 წლის 23 აგვისტოს № 1.1/108 ბრძანების, ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი) მისაღები კონტინგენტი:

სახელმწიფო დაფინანსებით - 5 (ხუთი) ადგილი;

თვითდაფინანსებით - 3 (სამი) ადგილი.

2. განისაზღვროს 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება და ანკეტა (შევსებული დანართი № 1-ის და დანართი № 2-ის შესაბამისად);

ბ) მიმართულების შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (გაცემული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;

დ) 2 ცალი ფოტოსურათი 3/4;

ე) ბაკალავრის /მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული დიპლომის ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2019 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ);

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან საგნის სწავლების თაობაზე.

3. განისაზღვროს 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადად - 17 სექტემბრიდან - 24 სექტემბრის ჩათვლით.

4. გამოცდა სპეციალობაში ჩატარდეს 2019 წლის 25 სექტემბერს, 14.00 საათზე (ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №32).

5. გამოცდის შედეგები გამოცხადდეს 2019 წლის 26 სექტემბერს.

6. გამოცდის შედეგების გასაჩივრება - 2019 წლის 27 სექტემბერი.

7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანება გამოიცეს 2019 წლის 01 ოქტომბერს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

8. დამტკიცდეს 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე განცხადების/ანკეტის და სხვა დოკუმენტების მიმღები კომისია:

კომისიის თავმჯდომარე: იამზე ჩიჩუა - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურის უფროსი;

წევრები: სემათ სარჯველაძე - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტი;

ხათუნა ჯოხაძე - იურისტი.

9. აღნიშნული ბრძანებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა და შესაბამისმა ფაკულტეტმა.

10. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. № 52).

12. ბრძანება ამოქმედდეს ხემოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

მ. ჭიჭილეიშვილი

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო  
უნივერსიტეტის რექტორის  
2019 წლის 06 სექტემბრის № 01-08/42 ბრძანების  
დანართი № 1

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის  
რექტორს -----

-----  
(სახელი, გვარი)

-----  
(მისამართი, ტელეფონი)

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი.

-----  
განმცხადებლის ხელმოწერა

„-----“ „-----“ 2019 წელი

სსიპ სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო  
უნივერსიტეტის რექტორის  
2019 წლის 06 სექტემბრის № 01-08/42 ბრძანების  
დანართი № 2

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი  
აპლიკანტის ანკეტა

სახელი -----

გვარი -----

დაბადების თარიღი -----/-----/-----/

რიცხვი, თვე, წელი

პირადი ნომერი № -----

ფაქტობრივი მისამართი -----

რეგისტრაციის მისამართი -----

სქესი: მამრობითი მდედრობითი

მობილური/ტელეფონი -----

ელ-ფოსტა: -----

ფაკულტეტი -----

საგანმანათლებლო პროგრამა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

გამოცდა (ჩაბარებული გამოცდების ეროვნულ ცენტრში) -----

მიღებული განათლება:

უმაღლესი საგანმანათლებლო  
დაწესებულების დასახელება

ფაკულტეტი,  
სპეციალობა

კვალიფიკაცია

სწავლის  
პერიოდი

რომელ ენას ფლობთ? -----

-----  
ამჟამად ხართ თუ არა რომელიმე უმაღლესი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი/მასწავლებელი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში. მიუთითეთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტატუსი)

-----  
ვადასტურებ მითითებულ ინფორმაციას და წარმოდგენილი დოკუმენტის სისწორეს. ჩემთვის ცნობილია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და სწავლის პირობები

-----  
(აპლიკანტის ხელმოწერა)

-----  
(რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა)

თარიღი: --- ----2019